როგორ გავზარდოთ არაფორმალური გზით მოსწავლეებში კონფლიქტისადმი მგრძნობელობა

თამთა კევლიშვილი

ლანა ქათამაძე

ნინო სამხარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი დავით მალაზონია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა კევლიშვილი

ლანა ქათამაძე

ნინო სამხარაძე

24.06.2022 “

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე - როგორ გავზარდოთ არაფორმალური გზით მოსწავლეებში კონფლიქტისადმი მგრძნობელობა - რომელიც განვახორციელეთ ქალაქ თბილისის კერძო სკოლა "თანამედროვე განათლების აკადემიის" IX კლასში.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ქართულ-ოსური კონფლიქტის ჭრილში, არაფორმალური აქტივობებით, მოსწავლეებში გაგვეზარდა კონფლიქტისადმი მგრძნობელობა.

პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას გამოვიყენეთ, რაოდენობრივი მეთოდით შედგენილი მოსწავლეთა კითხვარი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები - სასკოლო სახელმძღვანელოების დამუშავება, მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფი და მასწავლებელთა ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ.

შერჩეული მეთოდები დაგვეხმარა განგვესაზღვრა თუ რამდენად მგრძნობიარენი არიან მოსწავლეები ზოგადად კონფლიქტის მიმართ, რა ფაქტობრივ ცოდნას ფლობენ ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ და თავად მასწავლებლებს რა ცოდნა აქვთ კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების მიდგომების შესახებ.

დიაგნოსტირების ეტაპზე მიღებული ინფორმაციის დამუშავების შემდგომ, შევიმუშავეთ ინტერვენციები, რომლის განხორციელების შესაძლებლობასაც იძლეოდა საქართველოში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და ასევე, ჩვენი აზრით, ეს იყო საუკეთესო გზა მიზნის მისაღწევად. იმის გასაზომად რამდენად შევძელით დაგეგმილი ინტერვენციებით ჩვენი პრაქტიკის კვლევის მიზნის მიღწევა, კვლევის ბოლოს მეცხრე კლასის მოსწავლეებს შევაქმნევინეთ მცირე ზომის ნაშრომები, რომლებიც ითვალისწინებდა ქართულ-ოსური კონფლიქტის გააზრებას, კონფლიქტისადმი მგრძნობელობის ჭრილში.

ნაშრომების გაცნობამ ცხადყო, რომ მოსწავლეებში გაიზარდა კონფლიქტისადმი მგრძნობელობა. გავეცით რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც, ვფიქრობთ, სასკოლო სივრცეში შესაძლებელი იქნება მოსწავლეებში კონფლიქტისადმი მგრძნობელობის გაზრდა არაფორმალური აქტივობებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კონფლიქტ-სენსიტიურობა, ქართულ-ოსური კონფლიქტი, არაფორმალური აქტივობები, პრაქტიკის კვლევა.

Abstract

This paper is a practice report on the topic - How to increase the informal owners who create the design, which was implemented by the Tbilisi Private School "Academy of Modern Education" in the IX grade.

Our goal was to increase the sense of humor in the students through informal activities within the Georgian-Ossetian project.

Use of internship implementation, quantitative student questionnaire, as well as each teaching method - textbook processing, student focus group and semi-structured in-depth teacher interviews.

The search for selected information determined the factors that can be used to determine Georgian-Ossetian teaching.

Further elaboration and elaboration of the project, we developed interventions, which were implemented to enable the implementation of the epidemiological situation in Georgia and also, in our opinion, it was the best way to the goal. Given the extent to which we were able to plan interventions to accomplish our practical goals, at the end of the review we created small papers for ninth-graders that provide an understanding of Georgian-Ossetian elaboration, part of their sensitivity to it.

Familiarity with the papers revealed that there was an increased sensitivity of mood in the students. You will be familiar with the items created, in addition to the fact that we think it will be possible to place them in the school space through informal activities to increase sensitivity.

Search words: issue-sensitivity, Georgian-Ossetian issue, informal activities, practical research.

„მადლობა“

მადლობას ვუხდით ქალაქ თბილისის თანამედროვე განათლების აკადემიის დირექტორს და პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს ბატონ დავით მალაზონიას, რომელიც აქტიურად გვაძლევდა რეკომენდაციებს და გვეხმარებოდა კვლევის ეტაპების სწორად წარმართვაში. ასევე მადლობას ვუხდით მე-9 კლასის ყველა პედაგოგს და მოსწავლეებს, რომლებმაც აქტიურად ითანამშრომლეს ჩვენთან, პრაქტიკის კვლევის ფარგლებში.